ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მუდმივმოქმედი კომისიების გაერთიანებული სხდომა

ო ქ მ ი#2

30 დეკემბერი 2021წელი

12.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: თორნიკე გაჩეჩილაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების გაერთიანებული სხდომებს ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარეები და წევრები:

მურად ბურჯანაძე
გურამ ჩხეიძე
გურამი კიკნაველიძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
ბიძინა ჯაბიძე
თეა გოგნაძე
ირინა ტყეშელაშვილი
სიმონ ჭოლოკავა
გიორგი კოტორეიშვილი
ალექსანდრე ფახურიძე
კახა კოხოძე
იოსებ კვირიკაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელი: ქეთევან კარკაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი: თინა აბულაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა(ა)იპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“ მიერ, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში წარდგენილი „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური ცენტრის შექმნის“ პროექტის მხარდაჭერის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: მარეხი მშვენიერაძე
თანამომხსენებელი: თინა აბულაძე
თანამომხსენებელი: ქეთევან კარკაძე

-

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. სხდომის თავმჯდომარემ თორნიკე გაჩეჩილაძემ წარმოადგინა საკითხი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა(ა)იპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“ მიერ, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში წარდგენილი „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური ცენტრის შექმნის“ პროექტის მხარდაჭერის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე; აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ

კომისიის წევრი: გურამ ჩხეიძე კარგია, რომ კეთდება ეს „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური ცენტრი საინტერესოა რა ფორმის მომსახურებას გვთავაზობენ საჭირო იქნება ტრასპორტირება შ.შ.მ პირების და ამ მიმართულების სერვისი არ არის იქნებ დავამატოთ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ კარგი იქნება თუ

მაქსიმალურად იქნება გათვლილი შ.შ.მ პირთა მომსახურების სერვისი და კვების უზრუნველყოფა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ განაცხადა, რომ ვაუჩერული სისტემა კრიტერიუმებით იქნება განსაზღვრული

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/პირველი მოადგილე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა ქეთი კარკაძეს, რომ რა ქონების გადაცემას ითხოვენ მუნიციპალიტეტიდან და რა შენობა არის

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელი: ქეთევან კარკაძემ უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ ეს არის სოფ. ზედა დიმის სკოლის შენობის ფართი რომელიც არ ფუნქციონირებს და მას უჭირავს დაახლოვებით ნახევარი ჰექტაღი მიწის ნაკვეთი აქედან გამოეყოფა და გადაეცემა 800კვ.მ მიწის ნაკვეთი დაყოფისა და რეგისტრაციის შემდგომ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე გაჩეჩილაძემ კენჭიყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა(ა)იპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“ მიერ, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში წარდგენილი „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური ცენტრის შექმნის“ პროექტის მხარდაჭერის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე; აღნიშნული საკითხი განიხილა კომისიებმა გაერთიანებული კომისიების სხდომაზე და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

გაერთიანებულმა კომისიებმა გადაწყვიტა: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა(ა)იპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“ მიერ, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში წარდგენილი „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური ცენტრის შექმნის“ პროექტის მხარდაჭერის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე; აღნიშნული საკითხი განიხილა კომისიებმა გაერთიანებული კომისიების სხდომაზე და გამოხატეს თანხმობა კომისიის თავმჯდომარეებმა და წევრებმა გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

გაერთიანებული კომისიების სხდომის თავმჯდომარე: თორნიკე გაჩეჩილაძე